

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ნიმუშის აღებისას და
პრაქტიკაში არსებული პრობლემები

ავთანდილ გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი, როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ავთანდილ გიორგაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ნიმუშის აღებისას და პრაქტიკაში არსებული პრობლემები. თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია გულისხმობს პირის უფლებას არ მისცეს ჩვენება და გასცეს მამხილებელი ინფორმაცია საკუთარი თავის წინააღმდეგ, რაც დაცულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო სამართლით. ნაშრომში შეფასებულია კონკრეტულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლით განსაზღვრული მოქმედების - ნიმუშის აღებისას თვითინკრიმინაციის როლი, მნიშვნელობა და ნიმუშის აღებაზე ბრალდებულის უარის შემთხვევაში არსებული სამართლებრივი მოწესრიგება, სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის მიზანია წარმოჩინდეს ბრალდებულის თანხმობის არარსებობის პირობებში ნიმუშის აღებისას რა როლს ასრულებს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, აძლევს თუ არა შესაძლებლობას პირს თავი დაიცვას მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედებისაგან, როგორი უნდა იყოს მისი როლი და რეაქცია მოცემული ზემოქმედების ფარგლებში, ეკისრება თუ არა თმენის ვალდებულება, ამ მხრივ როგორია საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტები, როგორ შეესაბამება მას ქართული კანონმდებლობა და დადგენილი სასამართლო პრაქტიკა. რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის მხრიდან ნიმუშის აღებაში მონაწილეობაზე უარის თქმამ და რამდენად შეესაბამება თავის მხრივ დამდგარი შედეგები თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას, რომელიც ბრალდებული პირის ერთ-ერთი უმთავრესი უფლება და გარანტიაა, რათა დაცული იყოს ყოველგვარი უკანონო ზემოქმედებისაგან გამოძიებისა თუ საქმის განხილვის ეტაპზე.

ნაშრომში დასმული პრობლემატური საკითხების შესასწავლად და გამომწვევი მიზეზების უკეთ წარმოჩენად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, აღწერით-მიმოხილვითი კვლევის მეთოდები.

ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოჩინდა, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არ იცავს პირს ნიმუშის აღებისას მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედებისაგან და ის ვალდებულია ითმინოს გარკვეული ჩარევები მის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, თუმცა ამისათვის აუცილებელია სასამართლოს ნებართვა - განჩინება და შესაბამისი პროპორციული ძალის გამოყენება. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება და სასამართლო პრაქტიკა სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს რის წინაშეც ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა დგას. მართალია, ბოლო წლების განმავლობაში ნიმუშის აღებაზე უარის თქმის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ (საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით) მიღებულია გამამართლებელი განაჩენები და სასამართლოს სწორად აქვს შეფასებული ნიმუშის აღების ბუნება და ბრალდებული პირის უფლებრივი მდგომარეობა მასზე უარის თქმისას, ასევე სამართლებრივი შედეგები, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია არაერთი გამამტყუნებელი განაჩენი პირის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმისა თუ ნიმუშის აღებისათვის ხელის შეშლის გამო, რის საფუძველზეც სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვანი მიდგომა ჩამოყალიბდა პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით. აღნიშნულის თაობაზე ნაშრომში გაცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გარდა ავტორის პირადი შეხედულებისა ეფუძნება ასევე სხვადასხვა კვლევებს, საერთაშორისო პრაქტიკას და დაეხმარება სისხლის სამართლით დაინტერესებულ სტუდენტებსა და პრაქტიკოს იურისტებს.

სამიეზო სიტყვები: თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, ნიმუშის აღება, ბრალდებულის უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

Abstract

This work discusses the privilege of protection against self-incrimination and the problems in sampling and practice. The privilege of protection against self-incrimination means the right of a person not to testify and to disclose information against himself, which is protected by both national legislation and also international law.

This work specifically assesses the action defined by Article 147 of the Criminal Procedure Code of Georgia, such as the role and significance of self-incrimination in sampling and legal regulation, court practice in case of refusal of the accused to take a sample.

The purpose of the research is to demonstrate the role of the privilege of protection from self-incrimination in sampling in the absence of the consent of the accused, whether it enables a person to protect himself from influences against his will, what should be its role and reaction within the given impact, whether it bears the obligation of patience, what are the standards set by international law in this regard, how it complies with Georgian legislation established Court Case law.

What legal consequences may cause of the defendant's refusal to participate in the sampling and How the established results correspond in turn to the privilege of protection from self-incrimination, which is one of the main rights and guarantees of the accused person to be protected from any illegal influences at the stage of investigation or trial.

In order to study in depth the problematic issues named in the work and to better present their causes, there were used comparative-legal, historical, descriptive-review research methods.

Research has shown what the privilege of protection against self-incrimination does not protect a person from being influenced against his or her will when taking a sample, and that he or she is obliged to tolerate certain interference in his or her freedom and inviolability of private life. However, this requires the permission of the court and use of appropriate proportional power.

The research also revealed that Georgian legislation system and case law still do not fully meet the challenges facing the legal system of our Country.

It is true that in recent years, for refusing to take a sample(Article 381 of the Criminal Code of Georgia) acquittals have been handed down on criminal liability and the court has correctly assessed the nature of the sample and the legal status of the accused in refusing to take it, as well as legal consequences, however, research has shown that a number of convictions have been handed down in the case law for refusing to take a sample or

obstructing the taking of a sample, on the basis of which a heterogeneous approach in the case law has been established in terms of imposing criminal liability on a person.

Relevant conclusions and recommendations have been issued in this work on the above, which in addition to the author's personal views are also based on various studies, international practice and it will assist students and practicing lawyers interested in criminal law.

Search words: privilege of protection from self-incrimination, sampling, rights of the accused, right to a fair trial, criminal liability.